საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1760 2021 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტისთვის თავდაცვის ძალების რაოდენობის დასამტკიცებლად წარდგენისა და აღნიშნულ საკითხზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ძ[4]“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინოს თავდაცვის ძალების რაოდენობა (სამხედრო მოსამსახურეთა შტატი) და 2022 წელს განისაზღვროს არაუმეტეს 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) კაცისა; მათგან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსი – არაუმეტეს 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) კაცისა. აღნიშნული შეზღუდვა არ გავრცელდეს საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე, თავდაცვის ძალების

სარეზერვო სამსახურში გასაწვევი პირების რაოდენობაზე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროში არსებულ დროებით შტატებზე.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ თავდაცვის ძალების რაოდენობის დამტკიცების საკითხზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე - გრიგოლი გიორგაძე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**